ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 აპრილის №01-06/05
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენად ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულადი წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის შესყიდვების განყოფილების უფროსი: გივი დევაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენად ანანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

5. შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორი: სილოვან ბერიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 02 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების (პროექტების) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადება, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის" საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს მოწონებული წინადადების თაობაზე შემდგომი ღონისძიებების გატარება.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი

ქედის მუნიციპალიტეტი

სულ მოთხოვნილი თანხა - 981847.28 (ლარი)

ინფორმაცი

№	**პროექტის დასახელება**	**პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)**	**მათ შორის მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში**	**მათ შორის თანადაფინანსება**	**პროექტის განხორციელების საგარაუდო ვადები**	**შენიშვნა**
1	დაბა ქედა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა	472098.88	472098.88	0	სექტემბერი 2026 წელი - სექტემბერი 2027 წელი	
2	სოფელი გოგიაშვილები დავით გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა	86096.32	86096.32	0	სექტემბერი 2026 წელი - სექტემბერი 2027 წელი	
3	სოფელ ძენწმანში ვერა სურმანიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა	97952.82	97952.82	0	სექტემბერი 2026 წელი - სექტემბერი 2027 წელი	
4	სოფელ დანდალოში ამირან ბარამიძის სახლთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა	325699.26	325699.26	0	სექტემბერი 2026 წელი - სექტემბერი 2027 წელი	
ჯამი		**981847.28**	**981847.28**	**0**		

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2026 წლის 02 მარტის №96 დადგენილების მოთხოვნათა შესრულება რათა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონება. სწორედ ამ მიზეზით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) განხორციელება. პროექტის მიზანია სტიქიის თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღება ან/და სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შემცირება. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 02 მარტის № 96 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში შერჩეული იქნა დასაფინანსებელი პროექტები (იხ. თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც განკარგულების პროექტს თან ერთვის), რომლის დაფინანსებას ფონდიდან ითხოვს ქედის მუნიციპალიტეტი.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მიღება, რომლის საფუძველზეც ხდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი წინადადების მოწონება, თანდართული დანართის შესაბამისად, **კერძოდ:**

1. დაბა ქედა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (ქედა-მერისი) დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 472098.88 ლარს.

2. სოფელი გოგიაშვილები დავით გოგიაშვილის სახლის მიმდებარედ საავტომობილო გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 86096.32 ლარს.

3. სოფელ ძენწმანში ვერა სურმანიძის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 97952.82 ლარს.

4. სოფელ დანდალოში ამირან ბარამიძის სახლთან მისასვლელ საავტომობილო გზაზე მილხიდის მოწყობა, პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე) შეადგენს 325699.26 ლარს.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის საწინააღმდეგოდ განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებ(ებ)ის (პროექტ(ებ)ის) დაფინანსების თაობაზე ფონდიდან მოთხოვნილი თანხა სულ ჯამში შეადგენს **981847.28** ლარს.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი გენადი ანანიძე.

ე) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>**პროექტი**</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- აპრილი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1.

ქედის მუნიციპალიტეტი
2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ერთეული	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
6		ხარაულა	639	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	**80000**		**80000**	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**86000**		**86000**	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
18		საბადური	57	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	**78000**		**78000**	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
22		ვაიო	409	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	**64000**		**64000**	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	სასაფლაოების შემოღობვა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	მზა ბეტონის შეძენა	8100	
					გარე განათების მოწყობა	3900	
29		ზენდიდი	297	12000	ბილიკის მოწყობა	12000	
30		კორომხეთი	160	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
33		შევაბური	89	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
34		ცხემნა	156	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	სასმელი წყლის ავზის მშენებლობა	10000	
			ჯამი	**118000**		**118000**	

37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	10000	
					ელექტრო წისქვილის რემონტი	6000	
40		ქვედა აგარა	109	10000	გარე განათების მოწყობა	7300	
					მზა ბეტონის შეძენა	2700	
			ჯამი	**52000**		**52000**	
41	მახუნცეთი	ქვედა მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	9000	
					გარე განათების მოწყობა	7000	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
43		ზედა მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	საცალფეხო ბილიკის მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
47		მილისი	123	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	**106000**		**106000**	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	სასმელი წყლის სისტემისათვის 5 ტონიანი პლასტმასის ავზისა და 50 მმ-იანი მილების შეძენა	12000	
			ჯამი	**38000**		**38000**	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	2000	
					გარე განათების მოწყობა	10000	
54		აგოთა	122	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**54000**		**54000**	
58	მერისი	მერისი	300	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
59		გარეტყე	89	10000	საპირფარეშოს მშენებლობა	10000	
60		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
63		სილიბაური	117	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
64		სიხალიძეები	148	10000	მზა ბეტონის შეძენა	5000	
					გარე განათების მოწყობა	5000	
			ჯამი	**74000**		**74000**	
			სულ ჯამი	**750000**		**750000**	

განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილებისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულების მოთხოვნათა შესრულება, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შემავალი დასახლებების მიხედვით დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების სამართლებრივ რეგულაცია.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

2026 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილია 750 000 ლარი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რის მიხედვით შედგენილი იქნა შესაბამისი ოქმები და წინამდებარე პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის საჭირო პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2026 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩამონათვალი თუ რომელ სოფელში რა ღონისძიება უნდა განხორციელდეს განკარგულების პროექტს დანართის სახით თან ერთვის.

ასევე განმარტავთ, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების შესყიდვა, რომ განხორციელდეს აუცილებელია მისი დამტკიცება საკრებულოს მიერ.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი გ. წითელაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა, რეგისტრირებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად. შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდებოდა პერიოდულად მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესაბამისად, რის შედეგადაც ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბოლოოდ შეადგინა 10173302 ლარი.

2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გაფორმებული იქნა სულ 216 ხელშეკრულება. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 10041212 ლარი. აქედან ელექტრონული ტენდერებით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 9972241 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერით 389364 ლარი, გამარტივებული შესყიდვით 540179 ლარი, საიდანაც შესყიდვების სააგენტოდან მიღებული ნებართვით გაფორმდა 480259 ლარის ხელშეკრულება, ხოლო მონეტარული ზღვრების დაცვით გახარჯული იქნა 59920 ლარი.

შესყიდვების სააგენტოს თანხმობით ,გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების რაოდენობა სამართლებლივი საფუძვლების მიხედვით ასე გადანაწილდა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვით განხორციელებული იქნა 2 ღონისძიება ღირებულებით- 285600 ლარი; მათ შორის: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ექთნების მიერ - 192000 ლარი და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 93600 ლარი;

ექსკლუზიური უფლებამოსილებით 1 ღონისძიება, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურება - 175548 ლარის ღირებულებით.

გადაუდებელი აუცილებლობით 2 ღონისძიება, სოფელ კვაშტაში დაზიანებული სარწყავი წყლის სისტემის აღდგენისათვის გოფრირებული პოლიეთილენის მილის შესყიდვა 3182 ლარი და ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მეწყერის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სისტემის აღდგენისათვის პოლიეთილენის მილების შესყიდვა 15929 ლარი.

2025 წელს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში საბოლოო სტატუსი მიენიჭა 122 ტენდერს რომელთაგანაც ხელშეკრულება დაიდო 94 ტენდერზე. არ შედგა-22, შეწყვეტილი იქნა-2 და უარყოფითი შედეგით დასრულდა 4 ტენდერი. გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების საერთო სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 9918653 ლარი, ხოლო ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულმა

საბოლოო ფასმა 99628411 ლარი შეადგინა შესაბამისად, 2025 წლის შესყიდვების გეგმის ფარგლებში განხორციელებული ტენდერების საშუალებით ეკონომია გაკეთდა და დაზოგილ იქნა 290242 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი ნაწილი 8551506 ლარი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე, როგორიცაა: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მოსახლეობის სასმელი წყლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, დაბის და ტერიტორიული ერთეულების ცენტრების კეთილმოწყობა, პარკებისა და სკვერების, გარე განათების მოწყობა, შიდა-საუბნო სასოფლო გზების მოწყობა, მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვა ღონისძიებები

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის და მონიტორინგის მიზნით, ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე გამოყოფილი არიან პასუხისმგებელ პირები თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად, ხოლო საამშენებლო სამუშაოებზე შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას და კონტროლს ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ყურადღება გამახვილებული იყო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა შესყიდვების წლიური და ინდივიდუალური დაგეგმვა, დაგეგმვის პროცესში პასუხისმგებლობების სწორი გადანაწილება, მიწოდების ბაზრის კვლევა, საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების პროპორციულად განსაზღვრა და სპეციფიკაციების შემუშავება აღნიშნული ტექნიკური პირობების მომზადებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახური თავიანთი დარგობრივი ფუნქციების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ანგარიშგების საკითხებს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #2 ბრძანების ,,შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამსად ხდებოდა შესყიდვებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება და ერთიანი ელექტრონული სისტემაში ატვირთვა.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული მუშაოების შესახებ

სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მონაწილეობით მუნიციპალიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა 15 სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათშორის:

1. შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში 28 ლოკაციაზე განხორციელდა ფერდსამაგრი კედლების, გაბიონების მოწყობა, საყრდები კედლების მშენებლობა, სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობა, მილხიდების მშენებლობა და გზის სავალი ნაწილების ბეტონის საფარით დაფარვა.

რაზეც სულ აღნიშნული პროგრამის ფარგლერბში გაიხარჯა 2 145 685 ლარი.

2. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის სოფლების გეოგრაფიულ-რელიეფური მდებარეობის გამო, წლების განმავლობაში ვითარდება მეწყრული პროცესები, რომელთა გააქტიურების პირობებში საფრთხე ექმნება საცხოვრებელ სახლებსა და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურას. გეოლოგიური შესწავლისა და დასკვნების საფუძველზე ჩატარებული საპროექტო სამუშაოების გათვალისწინებით განხორციელდა 7 ღონისძიება, რაზეც სულ ბიუჯეტიდან დაიხარჯა 457 984 ლარი.

3. ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების ახალი საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის პროგრამით

აშენდა ოთხი ტიპიური ბეტონის საცხოვრებელი სახლები სოფელ კვაშტაში ავთანდილ სირაბიძის ოჯახისთვის, სოფელ სირაბიძეებში მალხაზ ჯაყელის ოჯახისთვის, სოფელ ცხმორისში უშანგი ირემაძის ოჯახისთვის და სოფელ უჩხითში ეთერ ირემაძე-ცინცაძის ოჯახისათვის. რისთვისაც სულ *დაიხარჯა 366 993 ლარი.*

4. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

რომელიც ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა საერთო საცხოვრებელი შენობების ფასადების მოპირკეთება, სახურავის რეაბილიტაცია და სადარბაზოების კეთილმოწყობა.

სულ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია 4 ღონისძიება, კერძოდ:

1. დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩა № 24-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს კეთილმოწყობაზე *დაიხარჯა: 96 038,24 ლარი;*
2. დაბა ქედაში, წერეთლის ქუჩა N10-ში არსებული შენობის ფასადის რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 52 440,28 ლარი;*
3. სოფელ პირველი მაისის 1-ლი ქუჩის #23-ში მდებარე სახლის ფასადის რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა 41 183,89 ლარი;*
4. დაბა ქედაში აღმაშენებელის ქუჩა #12-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 44 676,44 ლარი;*

ჯამში აღნიშნულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 233 075 ლარი.

5. წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლი მაგისტრალების მშენებლობა

ქედის მუნიციპალიტეტში სოფლების: ზენდიდის, ოქტომბრის, კვაშტის და სოფელ ახოს სამ უბანში მცხოვრები მოსახლეობა ზაფხულის პერიოდში განიცდიდა სასმელი წყლის დეფიციტს. წყლის დეფიციტის შესავსებად საჭირო გახდა შესაბამისი სამარაგო სისტემებისა და რეზერვუარების შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებულია სულ 6 ღონისძიება,
რაზეც სულ დაიხარჯა 761 031 ლარი.

1. სოფელ ზენდიდში რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა; რომელზეც *დაიხარჯა: 52 894,92 ლარი;*
2. სოფელ ოქტომბრის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობაზე *დაიხარჯა: 66 300,13 ლარი;*
3. სოფელ კვაშტის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის, მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობაზე *დაიხარჯა: 302 590,95 ლარი;*
4. სოფელ ახოს ნაჭვავარის უბნის მაგისტრალური მილსადენის და რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობაზე *დაიხარჯა: 207 105,89 ლარი;*
5. სოფელ ახოში ბაზალეთის უბნის რკინა-ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობაზე *დაიხარჯა: 35 699,14 ლარი;*
6. სოფელ ახოში ძერვენახის უბნის რკინა ბეტონის წყლის გამანაწილებელი რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობაზე *დაიხარჯა: 96 440,23 ლარი;*

6. სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია

სპორტული მოედნების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის ფარგლებში ხუთ ლოკაციაზე განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფა და განახლება, უსაფრთხო და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. სამუშაოები მოიცავდა მოედნის ზედაპირის რეაბილიტაციას, დაზიანებული საფარის დემონტაჟსა და ახალი ხელოვნური საფარის მოწყობას, სადრენაჟე სისტემების გაუმჯობესებას, ღობეების, კალათბურთის ფარების, ფეხბურთის კარების და სხვა ინფრასტრუქტურის განახლება.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარებულია სულ 5 ღონისძიება, კერძოდ:

1. სოფელ აქუცაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 191 728,86 ლარი;*
2. სოფელ ხარაულაში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 130 451,59 ლარი;*
3. დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 102 753,31 ლარი;*
4. სოფელ უჩხითში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 187 886,33 ლარი;*
5. მახუნცეთის თემის ცენტრში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე *დაიხარჯა: 135 301,30 ლარი.*

სულ სტადიონების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 748 121 ლარი.

7. დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე სკვერის მოწყობა

პროექტის ფარგლებში განხორციელდა დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე სკვერის მშენებლობა და ტერიტორიის სრულყოფილად კეთილმოწყობა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის უსაფრთხო, კომფორტული და ეკოლოგიურად სუფთა დასასვენებელი სივრცის შექმნა. სამუშაოები მოიცავდა ტერიტორიის გასუფთავებას, საფეხმავლო ბილიკების მოწყობას, დეკორატიული ფილებისა და მწვანე საფარის დაგებას, გარე განათების სისტემის მონტაჟს. სკამების, ურნების, საბავშვო და მოსასვენებელი ინფრასტრუქტურის განთავსებას. ასევე, განხორციელდა ხე-მცენარეების და ბუჩქების დარგვა და ლანდშაფტის დიზაინის ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაზე დაიხარჯა 283 710,95 ლარი.

8. დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში ხორციელდება კულტურის სახლის შენობის სრული რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის განახლება.

ხელშეკრულება გაფორმებულია 4 652 041 ლარზე. დღეის მდგომარეობით შესრულებულია სამუშაოების 45 %-ზე მეტი და ჩარიცხულია - 925 501,82 ლარი.

9. „გომის“ მთის ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

გომის მთის ტერიტორია, სადაც რამდენიმე ლოკაციაზე განთავსებულია ქედის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა საზაფხულო იალაღები, განხორციელდა ელექტრო-ბოძების და საძირკველების მონტაჟი, იზოლირებული ელექტრო კაბელების დაყენება.

აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად გაიხარჯა 540 371,74 ლარი.

10. მთა ტბათში ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

სოფელ პირველი მაისის მთა ტბათის ტერიტორიაზე, განთავსებულია საზაფხულო იალაღები, სადაც დღემდე არ მიეწოდება ელექტრო პროექტი მოიცავს ელექტრო-ბოძების და ხაზების მონტაჟს, გადამცემი ხაზების გაჭიმვა-გამაგრებას, ტრანსფორმატორებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მონტაჟს.

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია 877 774.77 ლარზე. დღეის მდგომარეობით შესრულებულია სამუშაოების 30 %-ზე მეტი და ჩარიცხულია - 250 000 ლარი.

11. სოფელ კორომხეთში სოფლის სახლის მშენებლობა

პროექტის განხორციელების შედეგად აშენებული იქნა შენობა, რომელიც აღჭურვილია ყველა აუცილებელი კომუნიკაციით, ხელმისაწვდომი გახდა სოფლის მოსახლეობისათვის კულტურული სივრცე საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დასასწრებად.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად სულ დაიხარჯა 101 582, 25 ლარი.

12. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა

ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საფეხმავლო ბილიკები. ღობეები თამარ მეფის პირველ ჩიხში, რაც ხელს შეუწყობს გადაადგილების უსაფრთხოებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და გარემოს ესთეტიკურად მოწესრიგებას.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სულ 4 ღონისძიება, რაზეც ჯამში დაიხარჯა 336 798 ლარი

1. დაბა ქედის ცენტრში კიბის მოწყობაზე *დაიხარჯა: 34 998,65 ლარი;*
2. სოფელ ზენდიდში ბილიკის მოწყობაზე დაიხარჯა: *100 972,96 ლარი;*
3. სოფელ ქვედა ბზუბზუში ბილიკის მოწყობაზე *დაიხარჯა: 31 422,75 ლარი;*
4. დაბა ქედაში, თამარ მეფის ქუჩის პირველ ჩიხში ღობის მოწყობაზე *დაიხარჯა: 67 821,09 ლარი;*

13. ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა

პროგრამა მოიცავს 2025-2028 წლებში პროფესიული სწავლების დანერგვისათვის ხელშეწყობას. პროექტის ფარგლებში 2025 წელს განხორციელდა ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის პროფესიული ოთახის სრული რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

რაზედაც ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე წელს სულ დაიხარჯა 39 367 ლარი.

14. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების სისტემების მოწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში.

ასევე, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოფლების შიდა გზების კეთილმოწყობა მზა ბეტონის საფარის დაგებით.

პროგრამის ფარგლებში ჩატარებულია სულ 2 ღონისძიება, კერძოდ:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული მზა სასაქონლო ბეტონის მ-250-ის (B-20) შეძენა, რომელზეც *დაიხარჯა: 264 587 ლარი;*
2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე-განათების სისტემების მოწყობა; რაზეც დაიხარჯა: *406 210 ლარი;*

ჯამში გამოყოფილი იყო 750 000 ლარი. სულ ჯამში შესრულდა: 670 807 ლარის სამუშაოები. **აუთვისებელი დარჩა 79 193 ლარი, ვინაიდან სოფლებში პროექტებისთვის განსაზღვრული თანხა ნაკლები იყო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებებზე**

.

15. ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოება

სულ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიხარჯა 10 000 ლარი.

სულ გასულ წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე გამოყოფილი იყო 8 824 003 ლარი.
და მათ შორის შესრულდა 7 491 506 ლარის სამუშაოები

ასევე 2025 წელში ჩვენი სამსახურის მონაწილეობით დამტკიცებული იქნა პირველ კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო 13 ერთეული

მარტივი შეტყობინება და გაცემული იქნა 20 ერთეული მშენებლობის ნებართვა მეორე-მესამე კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ხაზობრივი ნაგებობების (სოფლებში გაზსადენის შიდა გამანაწილებელი ქსელი) მშენებლობისათვის.

შპს ქედის კომუნალურსერვისი

წერილის ნომერი: **24-942609715**
თარიღი: **07/04/2026**

ადრესატი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ. N 3

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს

ბატონ ამირან ცინცაძეს

ბატონო ამირან,

თქვენი 2026 წლის 03 აპრილის N 95-95260935 წერილის პასუხად გიგზავნით შპს ,,ქედის კომუნალურსერვისის“ მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი“ დღეის მდგომარეობით ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

1. ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება.

2. პარკების მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა.

3. ტურისტული ზონების ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა-პატრონობა.

4. საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.

5. ქუჩების, მოედნების, პარკების, სკვერების, ადმინისტრაციული ცენტრებისა და სოფლების გარე განათების სისტემის მოვლა პატრონობა.

6. ქედის მუნიციპალიტეტის დაბიდან და სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. კერძოდ, დაბიდან და აწჰესის დასახლებიდან ყოველდღე, ხოლო სოფლებიდან ყოველ მეხუთე დღეს. 2025 წელს სულ გატანილი იქნა 361 რეისი დაახლოებით 1805 მ/კბ საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

7. სისტემატურად ხდება ნაგვის შემგროვებელი კონტეინერების შეკეთება, ყოველდღიურად სუფთავდება დაბა ქედისა და აწჰესის დასახლების ქუჩები, პარკები და სკვერები.

8. დაბიდან და აწჰესის დასახლებიდან პერიოდულად ხდება უპატრონო და მიუსაფარი ცხოველების (ძაღლი, კატა) გადაყვანა ქ. ბათუმის ძაღლთა

თავშესაფარში.

9. სისტემატურად ვახდენთ მუნიციპალიტეტის სოფლებში განვითარებული მეწყერის გაწმენდას და შიდა საუბნო გზების მოწესრიგებას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე განათების ქსელი დაბასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში 330 მდე მრიცხველზე 200 კმ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზით განათებულია 8000 მდე წერტილი. ელექტროენერგიის ხარჯი დაახლოებით შეადგენს თვეში 25 000 და 30 000 ლარს. მათი მოვლა-პატრონობისათვის ელექტრო საქონელის შესაძენად დაიხარჯა 78550 ლარი. სტიქიის შედეგად დაზიანებული ელექტრო ბოძების შესაცვლელად შევიძინეთ 30 ერთეული ბოძი, 9000 ლარის ღირებულებით

გარეგანათების ქსელის მოვლა პატრონობა ძირითადად ხორციელდება ერთი სპეც-ავტომანქანით (FOTON ფირმის ამწე-კალათა), ხოლო მეორე ავტომობილი პეჟო სიძველის გამო ხშირად გამოდის მწყობრიდან, რაც აფერხებს გარე განათების სისტემაზე დროულ რეაგირებას, ამიტომ გვესაჭიროება ახალი სპეცტექნიკა, რათა დროულად მოვახდინოთ დაზიანებულ გარე განათებაზე რეაგირება.

ასევე გვაქვს რამდენიმე მძიმე ტექნიკა. კერძოდ, ორი ერთეული მრავალ-ფუნქციური ექსკავატორ-დამტვირთავი: MST544 2016 და 2024 წლიანი CHUKUROVA ს ფირმის, ასევე KAMAZ ის ფირმის სამხიდიანი თვითმცლელი, რომელთაგან ერთერთი, კერძოდ, MST544 ასევე ხშირად ფუჭდება და მისი რემონტი საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს. საბიუჯეტო სახსრების არსებობის შემთხვევაში სასურველია, შევიძინოთ მრავალ-ფუნქციური შედარებით მცირე ზომის ე. წ. ბულდოზერი, რომელსაც ექნება წრეზე ტრიალის ფუნქცია, რომელიც გააადვილებს სოფლების ვიწრო გზებიდან, ჩამოწოლილი მეწყერის თვითმცლელზე დატვირთვას და გატანას.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან დღემდე შემოსულია მძიმე ტექნიკით სარგებლობის მოთხოვნის 400 მდე წერილი, რომელთაგან შექმნილი რიგის გამო დაკმაყოფილდა 306 წერილი.

გვაქვს ასევე BELORUS ის ფირმის ტრაქტორი 2016 წლიანი, რომლითაც ძირითადად ზამთარში ვახდენთ დაბის და მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდით სამუშაოებს.

გვესაჭიროება მძიმე ტექნიკის გასაჩერებელი სადგომისთვის ფართის გამოყოფა რათა ყველა ტექნიკა გავაჩეროთ ერთად და ასევე დროულად მოვახდინოთ ჩვენი ძალებით მსუბუქი დაზიანებების შეკეთება.

შპს „ქედის კომუნალურსერვისის“ ბიუჯეტი 2025 წელს განისაზღვრა 1 872 700 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენდა 1046957 ლარს

ოფისის ხარჯები

შრომის ანაზღაურება	222,200.00
პრემია/ჯილდო	70,620.00
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	754,137.55
საპენსიო დანაზოგი	4,904.90
მივლინება	180.00
საკანცელარიო ხარჯი	1,154.70
კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი	1,120.00
კატრიჯების შეძენა	120.00
სხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა	78,550.00
ოფისის საჭირო საგნებისა და მასალების	

შეძენა	7,150.00
რეცხვა ქიმწმენდის ხარჯი	9,872.50
საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მანქანადანადგარების მოვლა შენაქხისა და ექსპლუატაციის ხარჯი	1,846.40
კავშირგაბმულობის ხარჯი	3,192.65
ელექტრო ენერგიის ხარჯი	257,327.38
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი	16,996.00
საწვავ საპოხი მასალების ხარჯი	146,017.36
ავტომანქანების მიმდინარე რემმონტის ხარჯი	112,370.41
ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	51,943.38
საბანკო მომსახურება	198.00
კადრების მომზადება გადამზადების ხარჯი	2,100.00
კულტურული ღონისძიების ხარჯი	19,773.16
უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებების ხარჯი	21,330.00
სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	34,376.15
კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	44,965.00
სულ ჯამი	1,862,445.54

სილოვან ბერიძე

შპს ქედის კომუნალურსერვისი-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი